საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 184

13 03 2017 წ.

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის/პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 27 თებერვლის №180269 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის 2017 წლის 22 თებერვლის №139 ბრძანებით დამტკიცებული „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 და მე-8 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2017 წლის 14 მარტიდან 2017 წლის 31 მარტის ჩათვლით გამოცხადდეს კონკურსი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის/პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის მიზნით.

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის/პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებად განისაზღვროს:

2.1. პროფესიული ან აკადემიური უმაღლესი განათლება;

2.2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირების, მასში მიმდინარე პროცესებისა და სპეციფიკის ცოდნა, რაც დასტურდება შესაბამისი სამუშაო გამოცდილებით ან დარგის სპეციალისტის კვალიფიკაცია, რაც დასტურდება შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილებით, შემდეგი მიმართულებებით:

ა) საექთნო და საბებიო საქმე;
ბ)არქიტექტურა-მშენებლობის მიმართულებით;
გ) მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
დ) აუდიო-ვიზუალური მეთოდები და მედია პროდუქციის წარმოება;
ე) ინფორმაცია და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
ვ) ელექტრო ტექნიკა და ენერგეტიკა;
ზ) გამოყენებითი ხელოვნება;
თ) ფარმაცია;
ი) აგრონომია;
კ) ვეტერინარია;
ლ) ქიმიური ინჟინერია და პროცესები;
მ) ადრეული და სკოლამდელი განათლება;
ნ) მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება;
ო) ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა;
პ) საბიბლიოთეკო-საარქივო საქმე და ინფორმაციის მართვა;
ჟ) საბუღალტრო აღრიცხვა;
რ) საბანკო საქმე;
ს) გაყიდვების სერვისები;
ტ) საბაჟო საქმე;
უ) გარემოს დაცვის ტექნოლოგია (მოიცავს ჰაერის, წყლის, ნიადაგის და ა.შ. კონტროლთან დაკავშირებულ პროგრამებს);
ფ) მექანიკა და ლითონის დამუშავება;
ქ) ძრავიანი ტრანსპორტი, გემები და საფრენი აპარატები (შეისწავლის გემის, მატარებლის, ავტომობილის, საფრენი აპარატის და სხვა ფორმის ტრანსპორტის ფუნქციონირებას/ოპერირებას, ნავიგაციასა და წარმართვას, მომსახურებას);
ღ) კვების პროდუქტების წარმოება/გადამუშავება (მოიცავს საკვები პროდუქტებისა და სასმელების გადამუშავება/წარმოებასა და შეფუთვას, ასევე, საკვები პროდუქტები სწარმოებისა და დისტრიბუციისას გამოყენებულ მოწყობილობებსა და პროცედურებს);
ყ) სამრეწველო პროდუქციის წარმოება/გადამუშავება (მოიცავს მინის, ქაღალდის, პლასტმასის, ხისდასხვა მასალებისგან (ქვა, თიხა, ხელოვნური მასალები) დამზადებული პროდუქტების წარმოებას);
შ) სატყეო საქმე;
ჩ) მეთევზეობა;
ც) სტომატოლოგია;
ძ) თერაპია და რეაბილიტაცია;
წ) პერსონალური სერვისები (თმის და სილამაზის მომსახურებები);
ჭ) საყოფაცხოვრებო ტექნიკის მომსახურება;
ხ) სასტუმრო საქმე;
ჯ) სარესტორნო და კვების მომსახურეობა;
ჰ) მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება.

2.3. პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების ცოდნა:
ა) „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
ბ) „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
გ) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;

დ) „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;

ე) „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანება;

ვ) „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება;

2.4. კომპიუტერული უნარების ქონა;

2.5. გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;

2.6. მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.

3. სასურველია კანდიდატს ჰქონდეს:

ა) პროფესიულ სტანდარტებზე და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებზე/მოდულებზე მუშაობის ან მათი განხორციელების გამოცდილება;

ბ) რომელიმე უცხოური ენის ცოდნა.

4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის/პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტის ფუნქციებად განისაზღვროს:

ა) საავტორიზაციო/სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლოს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების შევსებული ფორმა და მასზე თანდართული დოკუმენტაცია; აღნიშნულის საფუძველზე თითოეულ სტანდარტთან მიმართებით ჩამოაყალიბოს შენიშვნები, მოსაზრებები და კითხვები, რომელთა გარკვევა სურს ვიზიტის ფარგლებში;

ბ) მონაწილეობას მიიღოს ვიზიტის დღის წესრიგის შემუშავებაში;

გ) ვიზიტის წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, შეისწავლოს ყველა საკითხი დასკვნის შესადგენად, მათ შორის, ჩაატაროს დაინტერესებულ პირებთან ინტერვიურება, საჭიროების შემთხვევაში, გამოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია, მოახდინოს ვიზუალური დათვალიერება და, საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს დღის წესრიგით გაუთვალისწინებელი აქტივობები;

დ) ვიზიტის შემდგომ მონაწილეობა მიიღოს შეფასების შედეგების განხილვაში, შეჯამებასა და დასკვნის მომზადებაში;

ე) მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი საკითხის განხილვაში ავტორიზაციის/აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე.

5.პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის/პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატმა, ელექტრონული ფოსტის მისამართზე - jobs@eqe.ge – აუცილებლად უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) სამოტივაციო წერილი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირების, მასში მიმდინარე პროცესებისა და სპეციფიკის ცოდნის ან/და შესაბამისი მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ვ) მიუთითოს 2 რეკომენდატორის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია.

6.პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის/პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა შესარჩევი კონკურსის ეტაპებად განისაზღვროს:

ა) განცხადების წარდგენა;

ბ) წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადარჩევა შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით;

გ) ექსპერტთა შერჩევის მიზნით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაბამისი კომისიის შექმნა;

დ) გასაუბრება;

ე) კომისიის მიერ შერჩეული კანდიდატების შესახებ რეკომენდაციის წარდგენა ცენტრის დირექტორისთვის;

ვ) ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ექსპერტთა შეყვანა ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობაში.

7.საკონკურსო კომისიამ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს კონკურსანტთა მიერ განაცხადების წარმოდგენის დასრულების თარიღიდან სამი თვის ვადაში.

8.დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ვებგვერდების – www.jobs.ge და www.eqe.ge - მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

9. დაევალოს საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა და ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი თამარ სანიკიძე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
PUBLIC LAW LEGAL ENTITY OF NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT
202330566